№ 21 1865 წ. ნოემბრის 1 № 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბარება შეიძლება ტფილისიდგან:
ი. კერესელიძის სტამბაში. ქუჩას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ კელის მომწერთათვის ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვის ორი მანეთი.

# გუთნის-დედა

## მამულის მართველობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

### განცხადება.

კავკასიის მამულის მართვის საზოგადოების ზაპისკების გამოცემაზე 1864 წ.

---

კავკასიის მამულის მართვის საზოგადოების ზაპისკები გამოვა 1864 წელს შემდგომის პროგრამმით:

1) მთავრობის განკარგულებაები, რაც რამ შეეხება მამულის მართველს.

2) მამულის მოვლის ჟურნალების განხილვა.

3) მამულის შესახები სტატიები.

4) სხვა და სხვა ცნობაები.

5) რაც რამ გადაწყდება მამულის მოვლის საზოგადოებაში და საზოგადო შეკრებილებაში.

6) განცხადება მამულის მოვლის შესახები; თესლეულის გასყიდვაზე. ბაღეულისა, ბოსტნეულისა და სხ. სახნავ-სათეს იარაღზედ და მაშინებზედ.

ყოველს ნუმერში იქნება მხატრობა, რომლისამე მცენარისა, და მაშინისა. ამას გარდა ყოველ ნუმერთან კელის მომწერთ გაეგზავნებათ საგანგებო მცენარის თესლეული, მხოლოდ იმ პირთ გაეგზავნებათ, რომელნიც 15 თებერვლამდინ კელს მოაწერენ ზაპისკებზედ

ზაპისკები გამოვა ორ თვეში ერთხელ 5-დგან 7 დიდ ტანის თაბახამდინ.

ფასი წელიწადში არის სამი მანეთი გაგზავნით, ზაპისკების მოთხოვნა შეიძლება, კავკასიის მამულის მოვლის საზოგადოების კანცელიარიითგან, რომელიცა იმყოფება ქ. ტფილისში, ზარაფოვის სახლებში, ბულვარზედ.

რედაკტორი, აგრონომი ნ. ხატოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

**1864** წელსა, «გუთნის-დედის» გაზეთი, გამოვა იმავე სახით, რა სახითაც გამოდიოდა ამ ორის წლის განმავლობაში. გაზეთის თანამშრომლები არიან, მამულის მოვლაში დახელოვნებული აგრონომები და ვიმედოვნებთ, დიდს სარგებლობას მისცემს ჩვენ მკითხველებს, უმეტესად მებატონეებს, რომელთათვისაც ეს საგანი შეადგენს უმთავრეს საჭიროებას. ფასი ისივე არის, რაც აქამდინ იყო. ვინც «ცისკარს» იბარებს ერთი მანეთი წელიწადში და ვინც არ იბარებს ორი მანეთი.

---

## «ცისკრის» რედაქციისაგან.

მომავალს, **1864** წლიდგან ჩვენი «ცისკარი» გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე თანამშრომლებთ შემწეობით, რა მიმართულებითაც გამოდიოდა. ჩვენ ვერას ვიტყვით შესახებ ჟურნალისა ამის მეტს, რომ საზოგადოებამ საკმაოდ დაინახა და საკმაოდ სცნო ღირსება შვიდის წლის ნამუშაკარის», მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც სურდეს დაბარება «ცისკრისა დროით აცნობონ რედაქციასა და თან წარმოადგინონ სვედრი ფასი.--

## გრენაჟის მოქმედება აბრეშუმის შემუშავებაზედ ნუხში.

---

ახლა დიდი ლაპარაკი არის ნუხის ვაჭარ ხალხში ამაზედ, შეიძლება აბრეშუმის ჭიის თესლეული სამზღვარს გარეთ ხალხზედ გაუიდონ თუ არა? ვისაცკი აქვს ერთი მტკაველი მამული აბრეშუმის ჭიის მოსაყვანათ, დიდის ყურადღებით უგდებს ყურს ამ ახალს ანბავს. ეს როგორ მოხდა რომ იმ გვარი ხალხი გამოფხიზლდა ძილისაგან, რომელიც არ ეხსნებოდა ძველ მამაპაპურს ჩვეულებას და, რომელიც არასოდეს არ მიდიოდა წარმატებაში?

თუ რომ ყურადღებით მისედავთ იმას, თუ როგორ გაფაციცებით ყველა ყურს უგდებს ამ ახალს ანბავს, მაშინ შესაძლებელია შევიტყოთ; თუ რისათვის შეიძრა ასე ხალხი. წრევანდელ წელიწადს აბრეშუმს მეტი ფასი ჰქონდა შარშანდელზედ ეს ყველამ ვიცით, ამას გარდა მამულის მართვის გამგებლობა გაერია ამ ალებ-მიცემობის საქმეში, და განიზრახა პოშლინის დაწესება, ვინც თესლეულს გაიტანს აქედგან.

ახლანდელს დროში აქ შესდგა ორი პარტია; ერთი ცდილობს დასცეს მეორე. პირველს პარტიასა სურს და ყოვლის მეცადინეობით ცდილობს თესლეული სამძღვარს გარეთ არ გაიშვებოდეს; მეორე პა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რტიის ფიქრიკი ის არის, რაც შეიძლებოდეს თავისუფალი ვაჭრობა იყოს აბრეშუმისა, თავისუფლათ შეიძლებოდეს გატ ნა უცხო ქვეყანაშიაც და შეიძლებოდეს საქონლის ადვილათ გასაღება. ყველა აქ თავის სარფას ეძებს და ამასთანავე თავის საკუთარი აზრი აქვს ამ საქმეზედ.

სახალხო ვაჭრობა იმისთანა საქმე არის, რომ ადვილად სჯა იმაზედ არ შეიძლება. ამას გარდა, ისე დასაღუპავი მამულის მართვაში არა არისრა, როგორც საქმის უცოდინარობა დი გამოუსადეგობა. ომიანობა და სხვა უბედურება, ისე დასაღუპავი არ არის მამულის მართვაში, როგორც საქმის უცოდინარობა და გამოუცდელობა. აბრეშუმის მოყვანა, იმისთანა რამე არის, რომ საჭიროა, ამ კელობის პატრონმა კარგათ და საფუძვლიანათ იცოდეს ეს საქმე. ერთ ერთს ზემოხსენებულს პარტიას რომ მიუდგეს კაცი, ეს საკმაო არ არის, თუ იმას ამ საქმეში ცოდნა და დახელოვნება არა აქვს. ერთს ბრუნდეედ დაწყობილობას შეუძლიან ჩაშალოს რამდენსამე წელიწადს სასარგებლო საქმე. აბრეშუმის თესლეულის აღწერა და იმისა გარემოებისა ასე მოკლედ არ შეიძლება იმას სხვა ფრივ დაწვრილებით განსილვა უნდა, ჩვენ მხოლოდ აქა გვსურს ვსთქვათ თუ რა ღირსება აქვს ამ მხარეზედ გრენაჟსა და საზოგადოდ რა გავლენა აქვსთ უცხო ქვეყნის ვაჭრებსა.

რა არის გრენაჟი? გრენაჟი არის ახლად შემოტანილი აბრეშუმის საქმეში. ამის შემოღების მიზეზი იყო ჭიის სნეულება. რომელს ქვეყანაშიაც არ არის სნეულება იქიდგან შემოაქვსთ მრთელი და წრფელი თესლი იმ ქვეყანაში, სადაც ჭიის სნეულება არის. იმ მრთელს და წრფელს თესლს საგანგებოდ აკეთებენ კელოვნებით მომზადებულს ალაგზედ, რომელსაცა ჰქვიან გრენერი ანუ გრენაჟი, **1849** წელს ამ გვარი თესლის ვაჭრობა შემოვიდა აბრეშუმის შემუშავებაში და პირველი ვაჭრები ამით აღებ-მიცემობდნენ.

გრენაჟი შემოიტანეს ნუხის უეზდში ამ ახლოს ხანში უცხო ევროპიის ქვეყნებითგან, სადაც ჭიის სნეულება გაჩნდა. სადაც სნეულება იყო იქ გრენაჟისაგან დიდი სარგებლობა ჰქონდათ ვაჭრებსა, და სადაც მთელი ჭიის თესლი მოიპოვებოდა იქ გასავალი არა ჰქონდა ამ გრენაჟის ვაჭრებს. პირველად გრენერი შემოიტანეს **1856** წელს. აქ უცხო ქვეყნის ვაჭრებმა სარგებლობა ვერა ნახესრა მაგდენი, რადგანც უსნეულო მხარე იყო, მაგრამ იმ წლითგან შემოეჩვივნენ და ყოველ წელიწადს დიდი აღებ-მიცემობა აქვთ ევროპელებს ნუხში. ის ვაჭრები არა თუ მარტო აბრეშუმს შეეხნენ, რაცრამ თავიანთ ქვეყნებში იშვიათი იყო, ყველას დაუწყეს ვაჭრობა. ახლა ნუხი იმისთანა ქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის, სადაც მთელი ევროპიის ვაჭრების ალებ-მიცემობის ალაგია. ევროპიის ვაჭრებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციეს აბრეშუმზედ, რომელსაც ყიდულობენ ბევრს და გააქვთ. ისეთი ალებ მიცემობა არის ნუხში, რომელიცა ფიქრათაც არ მოუვიდოდათ. უცხო ქვეყნებშიაც ისე მოსწონთ აქაური აბრეშუმი, რომ წარსულს წელიწადს გაიყიდა ნუხში ოცი ათას ფუთამდის, თესლეული გაიტანეს ათას შჳდას ფუთამდინ. თუ ასე ყოველ წლივ წარმატებაში შევიდა აბრეშუმის ალებმიცემობა ამ მხარეზედ, მაშინ ნუხი გამოჩენილი ქალაქი შეიქნება.

მართალიც არის, მინამ ფრანცუზები მოვიდოდნენ ნუხში ალებ-მიცემისათვის, ნუხის აბრეშუმის მომყვანნი მეტად შეიწროებაში იყვნენ ასე, რომ ცუდი ამინდი დასდგომოდად მოვლა რომ არ იცოდნენ, მესამედს შემოსავალს ვერ მიიღებდნენ, ამის გარდა გამოჰქონდათ მეიდანში გასასყიდათ და მსყიდველნი კი არსად მოიპოვებოდნენ და თუ შეხვდებოდათ მსყიდველი, მეტად მცირეს ფასათა ჰყიდდნენ. ჩვენ იმ წელიწადებზედ არ ვანბობთ, როდესაც სხვა ქვეყნებში არ მოვიდოდა აბრეშუმი და იმ წელიწადს მიჰქონდათ მხოლოდ ნუხიდგან. ისე წლობით კი, იხვეწებოდნენ ნუხელები და მსყიდველები კი არ მოიპოვებოდნენ.

ერთი მიზეზი კიდევ აბრეშუმის ფასის შემცირებისა გლეხ კაცის მდგომარეობა არის, რომელიცა იღებს ვალს საჭიროებისათვის იმ აზრით, რომ მომივა აბრეშუმი, გავყიდი და მივცემო. ვალი ედებათ კიდევ წვრილმან ვაჭრებს, რადგანც მდიდარი ვაჭრები ცდილობენ ფასი შემცირდეს, დაიკვეთონ ბლომათ და შემდგომში მეტათ გაყიდონ.

უცხო ქვეყნის ვაჭრებმა ცოდნაც შემოიტანეს ნუხში, მაგრამ აბრეშუმი ისეთს გასავალშია, რომ ფრანცუზები ახალშივე ყიდულობენ. აბრეშუმის პატრონს გასასყიდათ აღარცკი გამოაქვს ბაზარში, ვაჭრები სახლ და სახლ დადიან და იხვეწებიან. წრევანდელს წელიწადს ახალში ოც და ხუთ მანეთათ ფუთს, ზოგან ოც მანეთათ ყიდულობდნენ თვრამეტ მანეთზედ დაბლაკი აღარ ჩამოსულა მდარე აბრეშუმის ფასი. მშრალს დროში აბრეშუმის პარკი ერთს ფუთს რომ იწონდეს, ახალში სამ ფუთს ნახევარს აიწონს მაშასადამე ფასი ერთის ფუთის აბრეშუმისა იყო ექვსი თუმანი და სამი მანეთი. ახალში გაყიდვა ისე სასარგებლოთ მიაჩნიათ მეპატრონეებს, რომ ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობენ გაასაღონ.

(განგრძელება შემდგომში იქნება)

Дозволено цензурою 1863. г. Ноября 1. д. Тифлисъ. Ценсоръ Каитмазовъ.